# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 53

## \სახელმწიფო შესყიდვების შესახებ\

ავტოსათადარიგო ნაწილების შესყიდვისა და ავტოსარემონტო მომსახურების შესახებ

ს. წეროვანი 28 მარტი, 2011 წ.

ხელშეკრულება იდება ერთის მხრივ ახალგორის მუნიციპალიტეტის(შემდგომში- შემსყიდველი) საკრებულოს წარმომადგენელის, მისი თავმჯდომარის ავთანდილ ყოჩიშვილსა და მეორეს მხრივ შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი" მისი დირექტორის ირაკლი გურჩიანს შემდგომში („მიმწოდებელი") შორის შემდეგზე:

## 4. ხელშეკრულების საგანი

1.1 „შემსყიდველი" უკვეთავს, ხოლო „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ავტომანქანას სათადარიგო ნაწილებით და სარემონტო მომსახურებით.

1.2. დანართი №1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 2. მომსახურებათა ღირებულება და ანგარიშსწორების წესი:

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 550.00 ლარს.(ხუთას ორმოცდაათი ლარი.)

2.2. კონკრეტული სათადარიგო ნაწილების მიღების და მომსახურების შემდეგ, მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს სასაქონლო ზედნადებს.

2.3. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, სასაქონლო ზედნადების მიღებიდან 10 დღეში.

## 3. მხარეთა პასუხისმგებლობა

3.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

3.2. „შემსყიდველი" ვალდებულია დროულად აუნაზღაუროს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელის ღირებულება.

## 4. ფორს-მაჟორი ანუ გაუთვალისწინებელი შემთხვევები

4.1. ხელმომწერი მხარე ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებისაგან თავისუფლდება ნაწილობრივ ან მთლიანად, თუ შეუსრულებლობა განპირობებული იყო გადაულახავი დაბრკოლებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, დესტაბილიზაცია სახელმწიფოში), რასაც ხელშეკრულების დადების მომენტში ხელმომწერი მხარე ვერ გაითვალისწინებდა მის ხელთარსებული საშუალებებით.

4.2. ხელმომწერი მხარე ან მისი კანონიერი მემკვიდრე, რომელიც გადაულახავი დაბრკოლების პირობებს იმოწმებს, მოვალეა დაუყოვნებლივ აცნობოს ეს მეორე მხარეს წერილობით.
თუ ხელმომწერი მხარე შესაბამის შეტყობინებას არ გაუგზავნის ან დააგვიანებს, იგი მოვალეა მიყენებული ზარალი აუნაზღაუროს მეორე მხარეს ორ თვეში.

## 5. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები

5.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს მხარეთა თანხმობით.
5.2. თუ ეს ხელშეკრულება ნაწილობრივ ან მთლიანად არ შესრულდება, დამრღვევი მხარე მოვალეა მეორეს აუნაზღაუროს ზარალი.
5.3. სადაო საკითხების გადაწყვეტისას, მხარეები ეცდებიან მიაღწიონ ურთიერთშეთანხმებას კომპრომისების გზით. არ დაუშვან ინფორმაციის გავრცელება წამოჭრილ უთანხმოებათა თაობაზე.
5.4 საკითხები, რომლებიც განხილული არ არის ამ ხელშეკრულებაში, დამატებითი ხელშეკრულების დადებით გადაწყდება.
5.5. ქონებრივი ან არაქონებრივი დავა, რომელთა გამო მხარეები ვერ შეთანხმდებიან, გადაწყდება სასამართლოს გზით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5.6. ინფლაციური პროცესების შემთხვევაში შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება შეიძლება შეცვლილ იქნას მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით.

## 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მხარეთა იურიდიული მისამართები

6.1. ხელშეკრულება კანონიერ ძალაში შესულად ითვლება მხარეთა ხელმოწერისა და სათანადო ბეჭდის დასმის მომენტიდან და მოქმედებს სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებამდე. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულების შემწყვეტი მხარე, ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ამის შესახებ ერთი თვით ადრე.
6.2. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა ენიჭება.

## 7. მხარეთა იურიდიული და საბანკო რეკვიზიტები:

„მიმწოდებელი “

შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი" ქ. თბილისი,

ს/კ 211346220

დირექტორი: ი. გურჩიანი

„შემსყიდველი" ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო:

ს/კ 223238217

საკრებულოს თავმჯდომარე: ა. ყოჩიშვილი